



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080105178648518

№ 3344

27 / დეკემბერი / 2018
წ.

შპს „ბალავარის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „ქალაქ თბილისის №151 საჯარო სკოლა“;

ტენდერის ნომერი: NAT180010839;

შესყიდვის ობიექტი: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბალავარი“ (ს/ნ: 426520151);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 29 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ „ქალაქ თბილისის № 151 საჯარო სკოლის“ 2018 წლის 29 ნოემბრის № MES21801527333 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №9933), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბალავარის“ (ს/ნ: 426520151) მიერ NAT180010839 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 13 აგვისტოს № 151/59/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „ბალავარს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის kakhidze.1962@mail.ru მეშვეობით, 2018 წლის 30 ნოემბრის №4070 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, სამუშაოების შესრულების ვადის არაერთხელ გაზრდის მიუხედავად, მიმწოდებელმა არასრულად შეასრულა ვალდებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 1 527,27 ლარის ოდენობით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 16 ივლისს სსიპ „ქალაქ თბილისის № 151 საჯარო სკოლამ“ გამოაცხადა NAT180010839 ელექტრონული ტენდერი შენობის დასრულების სამუშაოების (CPV45400000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 7 აგვისტოს № 4 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბალავარი“ (ს/ნ: 426520151) და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 13 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა № 151/59/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მისი გაფორმებიდან 2018 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 44 659 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 30 ნოემბერი.

4.4. სისტემაში არსებული ინფორმაციის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 33 428,05 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 69%).

4.5. მიმწოდებლის 2018 წლის 28 სექტემბრის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება და ვალდებულებების შესრულების ვადის 15 დღით გაზრდა.

4.6. 2018 წლის 2 ოქტომბრის №1 შეთანხმების ოქმით, ვალდებულებების შესრულების ვადა გაგრძელდა 15 ოქტომბრის ჩათვლით.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 17 ოქტომბრის № MES21801338649 წერილიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი ვალდებულებებს ასრულებდა გეგმა-გრაფიკის დარღვევით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამავე წერილით, მიმწოდებელს განესაზღვრა 10 კალენდარული დღე გეგმა-გრაფიკზე ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად და მიეცა გაფრთხილება.

4.8. 2018 წლის 22 ოქტომბრის № 2 შეთანხმების ოქმით, დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 48 113,43 ლარი, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 ოქტომბერი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 31 დეკემბერი.

4.9. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ 2018 წლის 1 ნოემბრის № MES51801411776 წერილიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს არასრულად ჰქონდა შესრულებული ვალდებულებები, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისი გაფრთხილება.

4.10. 2018 წლის 2 ნოემბრის №3 შეთანხმების ოქმით, ვალდებულებების შესრულების ვადა გაიზარდა 2018 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენებით.

4.11. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის 2018 წლის 29 ნოემბრის № 5 სხდომის ოქმის შესაბამისად, სამუშაოების შესრულების ვადის არაერთხელ გაზრდის მიუხედავად, მიმწოდებელმა არასრულად შეასრულა ვალდებულებები. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

4.12. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 29 ნოემბრის № MES51801526698 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე 1 527,27 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბალავარი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის

შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ სამუშაოების შესრულების ვადის არაერთხელ გაზრდის მიუხედავად, მიმწოდებელმა არასრულად შეასრულა ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამდენად, არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ბალავარი“ (ს/ნ: 426520151) 2018 წლის 6 და 13 ნოემბერს დარეგისტრირდა შავ სიაში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, არსებული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში დარეგისტრირების ფაქტების გათვალისწინებით, შპს „ბალავარი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ბალავარი“ (ს/ნ: 426520151) 2018 წლის 28 დეკემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე